პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 270 (13355) | სამშაბათი, 16 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც შეიმუშავეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით სსრ კავშირის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ყოველმხრივ განიხილეს წარმოდგენილი მასალები და მოიწონეს გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების გადიდება.

სამრეწველო წარმოების განვითარების დავალებანი განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1965 წ.) პლენუმის იმ მითითებათა საფუძველზე, რომ საჭიროა გავადიდოთ სამრეწველო წარმოების ეფექტიანობა და უფრო სრულად გამოვიყენოთ საწარმოთა რეზერვები პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად. კაპიტალდაბანდებებმა, რომლებიც მრეწველობის განვითარებისათვის გამოიყოფა, უნდა უზრუნველყოს უწინარეს ყოვლისა მოქმედ საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღების დიდ ღონისძიებათა განხორციელება და ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობის დამთავრება. ამასთან გათვალისწინებულია ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, ქიმიური მრეწველობის, ხელსაწყოთმშენებლობისა და მრეწველობის სხვა იმ დარგების უპირატესი განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში. მნიშვნელოვანწილად დიდდება ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაკეთობათა წარმოება. დასახულია ბევრად გადიდდეს მაცივრების, სარეცხი მანქანების, ტელევიზორების, რადიომიმღებებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონლის წარმოება.

სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტში გათვალისწინებულია კონკრეტული დავალებანი, რომ შესრულდეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, კერძოდ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტრაქტორების, კომბაინების, სატვირთო ავტომობილების, მინერალური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდების გადიდება, აგრეთვე მიწების რწყვისა და ამოსაშრობ სამუშაოთა გაფართოება. ამ მიზნით მნიშვნელოვნად დიდდება სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა. სოფლის მეურნეობის დარგში დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს მარცვლის, მეცხოველეობის პროდუქტების, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირასა და სოფლის მეურნეობის სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების გადიდება.

1966 წელს გათვალისწინებულია დიდი სახსრები მოხმარდეს აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებას.

მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსებია გამოყოფილი საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებათა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობისათვის. 1966 წელს აშენდება ბევრად მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე 1965 წელს.

დასახულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კადრების მომზადების სერიოზული ღონისძიებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 1966 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო ასიგნობათა გამოყოფა. იზრდება ბიუჯეტის ასიგნობანი განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადებისათვის, კულტურის დარგის ღონისძიებებისათვის, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში 1966 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ დანერგვა, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა უკეთ გამოყენება. საჭიროდ არის მიჩნეული განხორციელდეს შავი მეტალურგიისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

სერიოზულად გაკრიტიკებულ იქნა ნაკლოვანებანი კაპიტალური მშენებლობის დარგში (დაპროექტების დროს დაშვებული შეცდომების, საშენ და მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ცუდი ორგანიზაციისა და დაბალი ხარისხის მრავალი ფაქტი, მშენებლობის დიდი ღირებულება), აგრეთვე სატყეო, ხისდამმუშავებელი, თევზის, ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაობაში (ნედლეულის არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, ბევრ შემთხვევაში დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, უყაირათობის ფაქტები).

ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა მატერიალური და ფულადი რესურსების ყაირათიანად ხარჯვისათვის, დანაკარგების შემდგომი შემცირებისა და სახალხო მეურნეობაში უნაყოფო ხარჯების თავიდან აცილებისათვის, აგრეთვე იმას, რომ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლში ზუსტად დავიცვათ სახელმწიფო დისციპლინა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები შეტანილ იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲞᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებს — ჭიათურელ მაღარელებს სასიხარულო ცნობა მოუვიდათ.

შეჯამებულია სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგები. კარგი მარჯვენებლებით კვლავ გაიმარჯვეს ჭიათურელმა მაღაროელებმა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა ისევ დარჩა მარგანეცის ტრესტის კოლექტივს, მასვე მიეკუთვნა პირველი ფულადი პრემია.

რესპუბლიკაში პირველი ადგილი, ფულადი პრემია, აგრეთვე საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი დროშა მიეკუთვნა კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივს. აღსანიშნავია, რომ კალინინელებმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის სახაკონლო მარგანეცის დამზადების თერთმეტი თვის დავალება შეასრულეს.

რესპუბლიკაში მეორე ადგილი და ფულადი პრემია მიეკუთვნა ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივს, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდნენ დიმიტროვის სახელობის მაღაროსა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივები.

ᲒᲔᲛᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲐᲗᲣᲗᲕᲘᲗ გემთმშენებელთა ქარხანაში განსაკუთრებული ყურადღება ეძცეა ახალი ტექნიკისა და პოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას. ამაში მნიშვნელოვანი წელილი შეაქვთ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. წელს ქარხანაში 80 წინადადებიდან ჯერჯერობით დაინერგა 45, რის შედეგადაც ქარხანამ 50.200 მანეთი ეკონომია მიიღო. აქ განახორციელეს ტექნიკური სიახლე, რის შედეგადაც კატარღათა ჩონჩხი შემცირებულ დროში იგება. ასეთი ღონისძიების, აგრეთვე მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდა, შრომის ნაყოფიერება ამაღლდა, ხოლო შრომითი დანახარჯები 50 პროცენტით შემცირდა.

ქარხნის სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ახლა აქაური ნაწარმი საბჭოთა კავშირის 100-ზე მეტ სამდინარო და საზღვაო ქალაქსა და ოცზე მეტ ქვეყანას ეგზავნება. საექსპორტოდ ტროპიკული ზონის ქვეყნებისათვის შექმნილია კატარღები, რომლებმაც მსოფლიოს ბაზარზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

გემთმშენებლებს ბევრ საფიქრალს უქმნიდა ლითონის კოროზია. ეს საკითხიც გადაწყვეტილია. კატარღის კორპუსს გარეთწილი დაფარულია მინაპლასტიკით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის პასუხად და პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად გემთმშენებლებმა ახალი შრომითი ვალდებულებები იკისრეს — საერთო პროდუქციის წლიური გეგმა შეასრულონ 22 დეკემბერს, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 2 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება შეამცირონ 0,5 პროცენტით.

50 ᲢᲝᲜᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲢᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘ. (საკ. კორ). სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებებს აღწევს სოსუმის ხორცკომბინატის ტყვარჩელის საწარმოს კოლექტივი.

საწარმომ ვადაზე ათი დღით ადრე გაანაღდა საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალება და პირველი ნოემბრისათვის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 50 ტონაზე მეტი ძეხვეულის ნაწარმი, ხორცი და სხვა პროდუქტები. საწარმოში საგრძნობლად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში თავი ისახელეს საწარმოს ოსტატებმა ჯ. კოზმავამ, ლ. ტუტებამ, ნ. დერდერიანმა, ლ. რაკმა და სხვებმა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲛᲪᲮᲔᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲔᲞᲘᲠᲚᲔᲑᲘᲐᲜ

მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მიმდინარე წელს დიდი გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, აბრეშუმის ჰარკის, ხილისა და ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებმა ერთხელ კიდევ გადახედეს თავიანთ შესაძლებლობებს და გურჯაანის, ზუგდიდის, გორისა და ბოგდანოვკის რაიონების მაგალითისამებრ სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად 1966 წლისათვის ახალი სოціალისტური ვალდებულებები იკისრეს.

აგროღონისძიებების განხორციელებითა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით მკვეთრად გაადიდებენ მარცვლეულის წარმოებას. ჰექტარზე ნაცვლად 13 ცენტნერისა მიიღებენ 16 ცენტნერ პურეულს, გეგმით გათვალისწინებული 24 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანენ 30 ცენტნერ სიმინდს; გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდიან 200 ტონა მარცვლეულს.

რაიონის მევენახეებმა პირობა დადეს 3.242 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 4.000 ტონა ყურძენი და 1.500 ტონა ხილი.

ნაცვლად 3.800 ტონისა, მცხეთელები სამშობლოს მისცემენ 4.000 ტონა ბოსტნეულს, ნაცვლად 335 ტონისა — 350 ტონა ხორცს, ნაცვლად 1.228 ტონისა — 1.300 ტონა რძეს და სხვ.

მცხეთელებმა ვალდებულების შესრულებისათვის უკვე დაიწყეს ბრძოლა, ველებსა და მინდვრებში საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს.

◆

ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ — ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ). „საქხილბოსტნის“ თელავის დამზადების კანტორამ (დირექტორი შ. ბებოშვილი) დიდი გადამეტებით შეასრულა ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურებისა და ხილის დამზადების გეგმა. ნაცვლად 1.735 ტონისა დამზადებულია 2.600 ტონა ხილ-ბოსტნეული.

ბოსტნეულისა და ხილის დამზადება გრძელდება.



ᲣᲨᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ხუთტონიანი ელექტროლოდენი ერთი ადამიანის ნებისყოფას ემორჩილება. ეს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეფოლადე ჯონდო ლურსმანაშვილია. იგი ნამდვილი ბატონია ამ უზარმაზარი ღუმელისა, რომელიც მის ყოველ ბრძანებას ასრულებს.

ქარხანაში ჯ. ლურსმანაშვილი რვა წელია მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში სრულყოფილად დაეუფლა მეფოლადის რთულ პროფესიას, ზეღმწევნით შეისწავლა მბრუნავი ღუმელი.

მოწინავე მეფოლადის ჩვეულებრივი გამომუშავება 130 პროცენტია. ჯონდო არა მარტო წარმოების საუკეთესო მუშაკია, არამედ სანიმუშო მოუფიცერი არის. მიმდინარე სასწავლო წელს იგი მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას დაამთავრებს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐ: ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო მეფოლადე ჯონდო ლურსმანაშვილი ფხიზლად აღევნებს თვალს მბრუნავი ელექტროღუმელის მუშაობას.

ფოტო ზ. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲐᲙᲘᲜᲓᲔᲤᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲔᲨᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ). პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის თავდადებით შრომობს სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი, რომელმაც იკისრა მიმდინარე წლის დავალება 25 დეკემბრისათვის, ხოლო მომავალი წლის პირველი კვარტალისა — 25 მარტისათვის გაანაღდოს.

რკინიგზელები თავიანთ სიტყვას საქმედ აქცევენ. განვლილ ათ თვეში დეპოს გამოცდილმა მემანქანეებმა ტყიბელ-ეფეთაისის უბანზე 1807 მძიმეწონიანი ეშელონი გადაიყვანეს და ნორმის გადაჭარბებით 198 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს.

ელმავლის მემანქანემ ო. მელოძემ განვლილ პერიოდში ქვანახშირით დატვირთული 106 მძიმეწონიანი ეშელონი გადაიყვანა და გეგმის გადამეტებით 14 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდა.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲨᲘ

დიდხანს ემახსოვრებათ გურჯაანელებს 14 ნოემბრის კვირა დღე. ამ დღეს მათ მოსავლის დღესასწაული ჰქონდათ. ლამაზად იყო მორთული რაიონული ცენტრი. წითელი ალმები, მხატვრული პანოები ნაგებნები სახლებს. ტრანსპარანტებზე გამოსახული იყო გამარჯვების ციფრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრძოლის პირველი შედეგები.

...შორეული და ახლო სოფლებიდან სტადიონისაკენ, სადაც დღესასწაული მოეწყო, ადამიანთა უწყვეტი ნაკადი მიედინებოდა. ყველგან სიხარული და მხიარულება სუფევდა. მზე, თითქოს ადამიანთა განწყობილებას უპასუხებსო ოქროსფერ სხივებს აფრქვევდა დათოვლილ მთებს. გაისმოდა სიმღერა.

სტადიონზე 15 ათასი კაცი შეიკრიბა. გურჯაანელებთან სტუმრად ჩამოვიდნენ ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, ხიდნაღის, საგარეჯოს რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, აკურის, მახარაძისა და ვანის რაიონების მეჩაიეები, მეციტრუსეები, მევენახეები. აქვე არიან აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები; ნოკალისტური შრომის გმირები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სტადიონი საზეიმოდაა მორთული პლაკატებით. ისინი ასახავენ მაღალ მაჩვენებლებს, რომლებსაც რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიაღწიეს მიმდინარე წელს. სახელდახელოდ აღმართულ ესტრადას ამშვენებს ციფრი 54.000. რაიონის მევენახეებმა გეგმით გათვალისწინებული 37.796 ტონის ნაცვლად გადაწყვიტეს სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 40 ათასი ტონა ყურძენი. ყურძნის მოსავალმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. სოფლის მშრომელებმა გადასინჯეს თავიანთი ვალდებულებანი და გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადაჭარბებით ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარებინათ 17 ათასი ტონა ნედლეული. ეს დაპირება პირნათლად შეასრულეს. რაიონმა 54 ათასი ტონა ყურძენი დაამზადა. ეს რეკორდული მოსავალია!

...დღის პირველი საათია. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ ამხანაგებს ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲨᲠᲝᲛᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Თ. ᲣᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲛᲗᲐᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲛᲔᲑᲚ

ПАРТИЈУЛИ ЦХОВРЕБА

მაქსიმალურად გამოვიყენოთ რეზერვები

რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

საქართველოს XIX რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე კომუნისტები შეიკრიბნენ იმ გადაწყვეტილებით, რომ გახეხილათ განვლილი ერთი წლის მუშაობის შედეგები და დაესახათ რაიონული პარტიული ორგანიზაციის მომავალი მოღვაწეობის კონკრეტული ღონისძიებანი.

ხულოს რაიონი მაღალმთიანია. მოსახლეობა გაფანტულია სერებზე და ხევებში. მშრომელებს ბენებასთან, მის ჯიუტულობასთან შეუპოვარი ბრძოლა უხდებათ.

მიუხედავად რთული რელიეფისა, რაიონში სოფლის მეურნეობა აღძავლობის გზით მიდის. აქ ერთ-ერთი წამყვანი კულტურაა თამბაქო. მისდევენ მეხილეობას, მებოსტნეობას, მეკვეხურობას. მეცხოველეობისათვის აქვთ კარგი საძოვრები.

მომხსენებელს, ხულოს რაიკომის პირველ მდივანს გ. დავითაძეს ბევრი მკაფიო ციფრი და ფაქტი მოჰყავს. თამბაქოს რაიონში უჭირავს 552 ჰექტარი ფართობი. ჯერჯერობით შეტეხილი და ახმსილია 6 მილიონ 700 ათასი ზონარმეტრი, რაც შარშანდელს ერთნახევარჯერ აღემატება. მაღალი მოსავალი მოიყვანეს დიოკხისის, ჩაოს, კორტხის, ბოძაურის, დანისპირაულის კოლმეურნეობებმა. ყიჩაურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. შაინიძე) 22,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 17 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა, მაშინ როცა გეგმა 14,7 ცენტნერს ითვალისწინებდა. ამავე კოლმეურნეობის მეთამბაქოემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, კომუნისტმა მ. აბაშიძემ 0,14 ჰექტარზე მოიყვანა 500 კილოგრამი თამბაქო.

რაიონში ბევრი საუკეთესო მეთამბაქოეა, რომლებსაც სარეკორდო და მაღალი ხარისხის მოსავალი მოჰყავთ.

ბევრ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის, ხილის დამზადება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობას. რაიონის 18 კოლმეურნეობაში რძის წარმოება გაორკეცდა.

— იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია კარგად მუშაობს, — თქვა მომხსენებელმა, — სადაც კომუნისტებმა მშრომელები დარაზმეს ახალი ზღუდეების ასაღებად, შედეგიც სანიმუშოა. მაგრამ ასე როდი ითქმის სტეფანაშვილების, რაქვთის, ხიხაძირის, ბაკოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებსა და პარტიულ ორგანიზაციებზე. აქ დაბალ დონეზე დგას იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, საქმისათვის მთელ პასუხისმგებლობას არც კომუნისტები გრძნობენ. მაშ რით უნდა აიხსნას, რომ სიღოსის დამზადებაში ჩამორჩნენ, საგრძნობლად დაეცა წველადობა, სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ.

დეკახოზიშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. ქონიაძემ მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი კოლმეურნე, რომლებიც საერთო საქმისათვის გული არ შეტკივათ, კოლმეურნეობაში მუშაობას თავრბილ, გამომუშავებული არა აქვთ საკალდებულო მინიმები. მანვე აღნიშნა, რომ სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა დაბალ დონეზე დგას. მშრომელები იშვიათად ხახულობენ ახალ კინოსურათებს, არ იმართება წარმოდგენები და სხვა მასობრივი სანახაობები.

ლორჯომი რაიონის ცენტრიდან უშორესი სასოფლო საბჭოა. მასში შემავალ სოფლებში ჯერ კიდევ აქა იქ გუნდება წარსულის გადმონაშთები. ამ საკითხებზე ილაპარაკა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ე. ცეცხლაძემ, მაგრამ მას მთელი სიმკაცრით არ გაუკრიტიკებია კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრი და თვით კომუნისტებიც კი, რომლებიც მთელი შესაძლებლობით არ იბრძვიან მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად, სოფლის კულტურული დონის ასამაღლებლად.

— მეცხოველეობის დარგში ჩვენი მიღწევები და გამოცდილება, — თქვა დიოკხისის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ ბ. საგინაძემ, — მზად ვართ გავუზიაროთ ყველას, მაგრამ ეფიქრობთ, რომ ჩვენი მიღწევა ზღვარი როდია, საჭიროა კიდევ მეტი, საჭიროა ჩვენც ვისწავლოთ უკეთესებისაგან.

მან გააკრიტიკა სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის სპეციალისტები, რომლებიც იშვიათად დადიან ადგილებზე, პრაქტიკულად არ ეხმარებიან ფერმის მუშაკებს.

სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. იაკობაძემ, განათლების განყოფილების გამგემ ლ. როგავამ, რაიონის პროკურორმა შ. ცეცხლაძემ და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში სერიოზული ყურადღება მიაქციეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებას, შრომის დისციპლინის გამტკიცებას, რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობას.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. უკლება.

პარტიულმა კონფერენციამ აირჩია საქართველოს კპ ხულოს რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

* * *

გაიმართა ახლადარჩეული რაიონული პარტიული კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კპ ხულოს რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია გ. დავითაძე, მეორე მდივნად ს. ხოზრევანიძე, მდივნად ნ. აბულაძე.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲫᲕᲐᲚᲐᲠᲓᲣᲚ საბნებზე, რომლებსაც ქუთაისის მაუდის ფაბრიკა უშვებს, დიდი მოთხოვნილებაა. ამიტომ მიმდინარე წლიდან განხორციელდა ფაბრიკის სპეციალიზაცია.

ფაბრიკა განუწყვეტლივ მუშაობს საბნების მოხატვის განახლებაზე, აუმჯობესებს მათს ხარისხს. წარმოებაში იყენებენ ახალ ქიმიკატებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ნახევარფაბრიკატისა და მზა საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას.

1966 წლისათვის ფაბრიკამ მოამზადა საბნების ორი ახალი ნიმუში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ: კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, მრთველები ლეილა ხაბეიშვილი (მარცხნივ) და ციალა ჯანტუარია.

ფოტო ი. დვალისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

თაოსნობამ ფრთა გაშალა

მᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲐ მთიანი რაჭა. ბუნების წარმტაც სილამაზეს, ბევრი ტურისტი და უცხოელი მოგზაური მოუხიბლავს. რიონის ხეობაში თუ გიმგზავრია, თქვენს ყურადღებას უეჭველად მიიპყრობდა სოფლების სიმრავლე, გზის პირას წამოჭიმული ოდა-სახლები, ეგეოენებით მოწყობილი კარმიდამოები, თლილი ქვისაგან ნაგები წყაროები.

აქაურ კაცს უსაზღვროდ უყვარს მშობლიური კუთხე, თავისი სოფელი. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ საგარეჯოელთა თაოსნობას „მოყარე და დამშვენე შენი სოფელი, კარმიდამო“ — ამბროლაურელი მშრომელები მთელი გატაცებით გამოეხმაურნენ და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

მთელ რაიონში გაიშალა მუშაობა დასახული გეგმების განხორციელებისათვის. მარტო მიმდინარე წლის გაზაფხულზე ქუჩებში, ეზოებში და საავტომობილო გზების სანაპიროებზე დავრგეთ 44 ათასი მარადმწვანე ბუჩქი და მცენარე.

ყველამ იცის კარგი გზის ფასი. კეთილმოწყობილი შარაგზა სილამაზეს მატებს საკოლმეურნეო სოფელს. ამიტომ იყო, რომ მთავარი ყურადღება შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობაზე გადავიტანეთ. წელს კოლმეურნეების შრომითი მონაწილეობით შეკეთდა ორი მთიანი სოფლის — თლეფილის და აგარის შემაერთებელი გზა. უკვე დავიწყეთ ზემო და ქვემო კრიხის შემაერთებელი ორი კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზის გაყვანა.

გზების მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმ სოფლებში, რომლებიც დიდი მანძილით არიან დაშორებული რაიონულ ცენტრს. სოფელი თხმორი რაიონული ცენტრიდან 40-45 კილომეტრზეა. სოფლის მცხოვრებლები დიდხანია ოცნებობდნენ სამანქანო გზის გაყვანაზე. მათი ნატვრის განხორციელებას მძლავრი ბიძგი მისცა საგარეჯოელთა პატრიოტულმა თაოსნობამ. გზის აშენებლობას სათავეში ჩაუდგნენ რაიონული საბჭოს უხუცესი დეპუტატი ო. ბოკორიშვილი და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე პ. მეტონიძე. მათ დარაზმეს სოფლის ძალები. გზის მშენებლობაზე გამოვიდა მოხუცი და ახალგაზრდა. ქალი და კაცი. სოფლის მშრომელთა აქტივობის შედეგად საქმე კარგად მიდის. გზის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. აქ შენდება ორი ხიდი, რომლებიც სულ მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ეს გზა სოფელ თხმორს დაუკავშირებს რაიონის მაგისტრალურ შარაგზასთან.

შიდა საუბნო გზების კეთილმოსაწყობად დიდი მუშაობა იქნა გაწეული აგრეთვე გორისუბნის, ამანოეთის, ჩორჭოს და რაიონის სხვა სოფლებში.

შიდა საუბნო გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის პარალელურად სოფლის მშრომელებმა დაიწყეს ხიდების აგება. სოფელ ზნაკვაში ადგილობრივი ხახსრებითა და მშრომელთა მონაწილეობით მდინარე რიონზე ავაგეთ კაპიტალური ხიდი. ამ ხიდით მდინარის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფლები მარცხენა სანაპიროს სოფლებს დაუკავშირდნენ.

წესი ერთ-ერთი დიდი სოფელია ამბროლაურის რაიონში. სოფლის მოშორებით გადმოსჩქეფს მთის ანკარა წყარო. რაჭველი გლეხები საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ ამ მაცოცხლებელი წყლის ხალხის სამსახურში ჩაყენებაზე, მაგრამ ამაოდ.

წესელთა ნატვრის განხორციელებისათვის თავი გამოიდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სახელგანთქმულმა მევენახე ქალმა ი. მელაშვილმა, რაიონული საბჭოს დეპუტატმა რ. ნატმელაძემ და წესის სასოფლო საბჭოს დეპუტატმა ა. მელაშვილმა. ისინი მოეთათბირნენ სოფლის აქტივს, გამონახეს ადგილობრივი რესურსები წყალსადენის ასაშენებლად. მთელი სოფელი, როგორც ერთი კაცი, დაირაზმა საშინაშვილო საქმისათვის, აქტივი მხარში ამოუდგა დეპუტატებს. კოლმეურნეებმა გააკეთეს თხრილები, ჩაიწყეს ლითონის მილები. ახლა სოფელს აქვს წყალი. 150 ოჯახმა საკუთარ ეზოში ონკანი დააყენა. წყალი მიიღო აგრეთვე საკოლმეურნეო ფერმებმა და სკოლამ.

გალამაზდა და დამშვენდა სოფელი ხოტეი. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით სოფლის აქტივს, სასოფლო საბჭოს დეპუტატებს. სოფლის გზის პირად და კოლმეურნეთა ეზოებში წელს დაიგო 3.000 ძირი დეკორაციული და ნაყოფისმომცემი მცენარე. აქ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. განხორციელდა სოფლის მთელიანი რადიოფიკაცია, რეკონსტრუირებულია ელექტროქსელი. გარდა ერთი უბნისა, ყველგან მიუყანილ იქნა სასმელი წყალი, კოლმეურნეთა ეზოებში დაიდგა ონკანები.

საგარეჯოელთა პატრიოტულ თაოსნობას აქტიურად გამოეხმაურნენ და სამუშაოები კეთილმოწყობითი სამუშაოები განახორციელეს სადმელის, ლიხეთის და რიონის ზოგიერთმა სხვა სასოფლო საბჭოებმა.

სახე შეიცვალა რაიონულმა ცენტრმა — დაბა ამბროლაურმა, იგი დამშვენდა ახალი საცხოვრებელი სახლებით. ამჟამად მშრომელთა განკარგულებაშია 4.000-მდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მაგისტრალური ქუჩა დამშვენა პოლიკლინიკის ახალმა, სამხარეულიანმა კეთილმოწყობილმა შენობამ. რაიცენტრის ხიბმაუეკა საუკეთესო საბავშვო ბაღი და ბაგა, მასწავლებელთა სახლი და სხვ. ბოლო ხანებში გამშვენიერდა ქუჩები, მოეწყო გაზონები. დიგო ასფალტი. მუშა-მოსამსახურეთა უშუალო მონაწილეობით ყოველკვირა ვასუფთავებთ ქალაქის ქუჩებს. ყველაფერი ეს კარგი საქმის მხოლოდ დასაწყისია.

რაიონის სოფლებში გაწეული დიდი შემოქმედებითი მუშაობის მიუხედავად, რაც საგარეჯოს მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობასთან დაკავშირებით ჩატარდა, ყველა რეზერვი და შესაძლებლობა როდია ამოწურული. მშრომელი მხარის ახალამაზრებლად ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ შეიტანა სამწლიანი გეგმა, გადაწყვიტა ადგილის შრომითი მონაწილეობით უფრო კეთილმოწყობილი გაეხადა სოფელი. მაგრამ კარგი წამოწყება [illegible] ეს სოფლის ხელმძღვანელებმა ვერ დარაზმეს თქვენი ენერგია [illegible] ბონეშიორის სასოფლო ცენტრები კეთილმოწყობილია. სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს სასოფლო გზები.

ნიკორწმინდის სასოფლო საბჭოს სეხალმ, რომელიც გასულ წელს ჩაატარდა კარგი დადგენილება მიიღო სოფლის კეთილმოსაწყობად. მაგრამ დადგენილების ბევრი მუხლი შესრულებული არ არის.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სანიტარული წესრიგის დასამყარებლად. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ კომუნალური მეურნეობის კომბინატი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს ქუჩების, სკვერებისა და გაზონების სისტემატურ და დროულ დასუფთავებას.

რაჭის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების, ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების ინტერესები მოითხოვს, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა, სოფლის აქტივმა არ შეანელონ დაწყებული მუშაობა, გამოიჩინონ ინიციატივა, დარაზმონ სოფლის მთელი მშრომელები, რათა სანიმუშოდ მოაწყონ მშობლიური კუთხე, საკუთარი სოფელი.

ნ. შარაბიძე,
ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

მეცხოველეობა რენეზაბელური რომ იყოს...

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ც.კ-ის 1965 წლის მარტის პლენუმმა ჩვენი პარტიისათვის ჩვეული პრინციპულობით ამხილა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები და მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს შემოქმედებითი შრომა.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის მთელი კოლექტივი ენერგიულად მუშაობს იმისათვის, რომ ამ დიად საერთო-სახალხო საქმეში საპატიო წვლილი შეიტანოს.

ინსტიტუტის კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად გარდაქმნა თავისი მუშაობა და კიდევ უფრო ქმედით ღონისძიებებს ახორციელებს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს ახლო კავშირი აქვთ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებულ ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ერთმა ჯგუფმა ამ ზონის მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა შეიმუშავა და დასახა გეგმის განხორციელების რეკომენდაციები. ეს გეგმა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის პროექტის დამტკიცების დროს ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებისათვის იყო გამოყენებული. აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელების შედეგად ამ ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთიორად გადიდდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და მნიშვნელოვნად შემცირდება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. ეს კი მეცხოველეობის რენტაბელობის უტყუარი საფუძველი იქნება.

ამჟამად ჩვენი მეცნიერ მუშაკების დიდი ჯგუფი რესპუბლიკის სხვადასხვა ზონის პირობების შესაბამისად ამუშავებს მეცხოველეობის განვითარების ახალ სისტემებს. დასახული ღონისძიებების, რეკომენდაციებისა და მითითებების გამოყენებით მეურნეობებს შესაძლებლობა მიეცემათ უკვე წარმართონ მეცხოველეობის საქმე და მიაღწიონ ამ დარგის რენტაბელობას.

ჩვენი რესპუბლიკის მაღალმთიანი ზონისათვის პერსპექტიულია კავკასიური წაბლას ჯიშის ძროხა. ეს ჯიში ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ერთი ჯგუფის უშუალო ხელმძღვანელობით ამ ჯიშის ძროხებზე ჩატარებული ექვსწლიანი ცდა. ამ ცდის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა ამ ჯიშის ძროხების ინტენსიურ ფაზაში ინსემინაციის ეფექტურობის, ინსემინაციის ოპტიმალური ვადების, ინსემინაციის ეფექტურობის ბიოლოგიური ინდიკატორების, ინსემინაციის ეფექტურობის ბიოქიმიური ინდიკატორების, ინსემინაციის ეფექტურობის ფიზიოლოგიური ინდიკატორების, ინსემინაციის ეფექტურობის ენდოკრინული ინდიკატორების, ინსემინაციის ეფექტურობის ფენოტიპური

სოციალისტური ფილიალი

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუქარესტი, (საკდესი). ბუქარესტში ორ დღეს მიმდინარეობდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა მოხსენება სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც წარადგინა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ.

თავისი მოხსენების დასაწყისში ნ. ჩაუშესკუმ აღნიშნა, რომ, ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობამ საუკეთესო შედეგებს მიაღწია 1964 წელთან შედარებით. მაგალითად, მარცვლის მოლიანმა წარმოებამ 1,5 მილიონი ტონით გადააჭარბა შარშანდელი წლის დონეს. მოწეულია მზესუმზირას, შაქრის ჭარხლისა და ხილის კარგი მოსავალი. შარშანდელთან შედარებით უკეთ არის პირუტყვის საკვების საქმე, რის შედეგადაც გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება.

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მოხსენების ძირითადი ნაწილი მიუძღვნა იმ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის გაუმჯობესება. სახელმწიფო ფინანსურ სახსრებს უმთავრესად მოახმარს იმას, რომ 1970 წლამდე ძირითადად გადაწყდეს სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციისა და ქიმიზაციის ამოცანები, რომლებიც დასახა რუმინეთის კომპარტიის IX ყრილობამ, თქვა მან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და საოლქო და რაიონული სასოფლო-სამეურნეო საბჭოების, როგორც სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სახელმწიფო ორგანოების, მუშაობის ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები.

მან განაცხადა, რომ რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომმა შეიმუშავა წინადადება დაწესდეს საოლქო და რაიონული კოოპერაციული გაერთიანებანი — საზოგადოებრივი სამეურნეო ორგანიზაციები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რესპუბლიკური გაერთიანება.

„კოოპერაციულ გაერთიანებათა ძირითადი ამოცანა იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობა წარმართონ სოფლის მეურნეობის განვითარების მოთხოვნების, მთელი ქვეყნის ინტერესებთან კოოპერაციული გლეხობის ინტერესების პარმონიული შეხამების შესაბამისად.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და მისი დაგეგმვის გაუმჯობესებასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებასა და რუმინელი გლეხების ცხოვრების გაუმჯობესებასთან.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია. იგი შეიცავს ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ინფორმაცია რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციათა ვიზიტის შესახებ სსრ კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მიიწონა პარტიისა და მთავრობის დელეგაციათა საქმიანობა, რომლებიც ეწევიან საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთს, და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამ ვიზიტებმა დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული ქვეყნების პარტიებსა და ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ამხანაგური თანამშრომლობის განვითარებაში.

საბჭოთა ფილმის კვირეული იტალიაში

რომი, 14 ნოემბერს მილანში დაიწყო საბჭოთა ფილმის კვირეული იტალიაში. იგი მოეწყო იტალიასა და სსრ კავშირს შორის დადებული კულტურული შეთანხმების შესაბამისად. ნაჩვენები იქნება კინოფილმები „ომი და მშვიდობა“, „ოცი წლისა ვარ“, „ჯარისკაცის მამა“, „მოროზკო“, „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილები“, „ცხოვრობდა მოხუცი ცოლ-ქმარი“.

ვაზი საქართველოსათვის

სოფია, 14 ნოემბერი. (საკდესი). სლივენის ოლქში, რომელიც შესანიშნავი ზვრებითაა განთქმული, დიდძალ საექსპორტო ვაზს ამზადებენ. ამ დარგში განსაკუთრებით დიდი გამოცდილება აქვთ ნოვა ზაგორას „საკიშე თოსლის“ აგროუბნის კოოპერატორებს. წელს მათ საექსპორტოდ 4 მილიონი ვაზი დაამზადეს, რომელიც მოლიანად გაიგზავნება საქართველოში ახალი ზვრების გასაშენებლად. ამ დღეებში ნოვა ზაგორას საფდგრიდან ქართველ მევენახეებს გაეგზავნათ ვაზის პირველი პარტია.

„მსოფლიოს ხალხთა აბუჩად აგდება“

კუვეიტი. სამხრეთ როდეზიის დელეგაციის ლონდონში გამოცხადება თეთრკანიანი უმცირესობის ინტერესებისათვის აფრიკა-აზიის ხალხების, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდებაა, განაცხადა „კუვეიტის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეიხმა საბაჰ ალ-ამმადმა. უკანონობის ეს აღმაშფოთებელი აქტი, აღნიშნა მინისტრმა, უხეში დარღვევაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების და ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მხარი დაუჭირონ სამხრეთ როდეზიის აფრიკელ უმრავლესობას მისი კანონიერი უფლებებისათვის ბრძოლაში.

პეკინი. „ჩინეთის მთავრობა და ჩინელი ხალხი მკაცრად გმობენ სამხრეთ როდეზიის კოლონიურ ხელისუფალთა დანაშაულებრივ მოქმედებას, მტკიცედ უჭერენ მხარს ზიმბაბვეს ხალხის სამართლიან ბრძოლას იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“, — ნათქვამია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში სამხრეთ როდეზიის რასისტ ხელისუფალთა აქციის შესახებ.

ხართუმი. სუდანის მთავრობასა და ხალხს მიუნიათ, რომ სმიტის მიერ სამხრეთ როდეზიის დამოუკიდებლობის გამოცხადება „არის მოქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას აფრიკის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში, განაცხადა სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბუკამე ჰალილმა. სუდანს მიაჩნია, რომ ეს ნაბიჯი მიზნად ისახავს როდეზიის ოთახის ერთ-ერთ ფანჯარაზე უფრო გააფართოოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არსებული რასობრივი დისკრიმინაცია. სუდანი, ხაზი გასვა ჰალილმა, გადაჭრით გმობს ამ უბადრუკ ნაბიჯებს და ამ ბოროტებას ბოლოს ადგება „ერთი კაცი, ერთი ხმა“.

დარ-ეს-სალამი. ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა დევან ჩამან ლალმა, რომელიც ამჟამად მალავიში იმყოფება, სამხრეთ როდეზიის აფრიკელ მოსახლეობას მოუწოდა შექმნას ემიგრანტული მთავრობა. მან განაცხადა, რომ ინდოეთი მზად არის ცნოს ასეთი მთავრობა. ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა აგრეთვე თქვა, რომ სამხრეთ როდეზიის ახლანდელი მთავრობა იან სმიტის მეთაურობით დიდხანს ვერ იბოგნებს.

ნიუ-იორკი. ზამბიის პრეზიდენტმა კენეტ კაუნდამ ინგლისის მთავრობას მიმართა მოწოდებით დაამატიროს სამხრეთ როდეზიის რეჟიმის მეთაური იან სმიტი. „იგი მოღალატე და მეამბოხეა“, — განაცხადა კაუნდამ მიტინგზე.

პარიზი. ზამბიის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა არტურ ვინამ გამოაცხადა, რომ სამხრეთ როდეზიის მთავრობის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნება მკაცრი ფინანსური და ეკონომიური სანქციები. კერძოდ, სამხრეთ როდეზიის საქონელზე არ გავრცელდება პრეფერენციები. მთავრობის ყველა უწყებას მიეკუმეცა აქეს მითითება არ მიიღონ სამხრეთ საფოსტო და ფულადი გზავნილები სამხრეთ როდეზიაში. ზამბიის მოქალაქეებს ეკრძალებათ გარიგებათა დადება სოლსბერის საფონდო ბირჟის მეშვეობით.

არტურ ვინას სიტყვით, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, რომლებსაც მოჰყვება „შორს გამიზნული სხვა ღონისძიებანი“.

დარ-ეს-სალამი. ტანზანიის დედაქალაქში ინგლისის უმაღლესი კომისრის რეზიდენციასთან გაიმართა სტუდენტთა მღელვარე დემონსტრაცია. 300-ზე მეტი სტუდენტი მივიდა შერობასთან, რათა პროტესტი განეცხადებინათ როდეზიელ რასისტთა მოქმედების წინააღმდეგ.

დემონსტრაციის ადგილის ახლოს მდებარე სახლის ფანჯრიდან გამოფენეს იან სმიტის ფიტული მკერდში ჩასობილი ხანჯლით.

ნიუ-იორკი. ზამბიის პრეზიდენტმა ერეოვნული კავშირის პარტიის წევრობა ქალაქ ბულავაიოს (სამხრეთ როდეზია) მიდამოებში აიფეთქეს მთავრობის ს



ამბები, ცნობები

მუშაობლიურ მიწაზე

ბათუმი. (საკ. კორ.). ნავსადგურში ნელი სელით შემოვიდა თეთრად მოქათქათე კომფორტაბელური „ლატვია“. ლაიბერის ყველა მგზავრი, დიდი თუ პატარა, გემბანზე გამოკრეფილიყო. ისინი მღელვარებით აკნევდნენ ხელს, ფორიალებდნენ მანდილებს.

ეს სამშობლოში დაბრუნებული სომხების ჯგუფი იყო, ამჯერად რამდენიმე ასეული კაცი.

ორანაკლები მღელვარება სუფევდა ბაქანზე. აქ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხვდებოდნენ ძმას, შვილს, მახლობელს.

ჩამოსული სომხები მუდმივ საცხოვრებლად გაემგზავრნენ სომხეთში, სადაც მათთვის გამზადებულია კომფორტაბელური ბინები. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი.

პრემია ავიაფორეგს

სრულიად საკავშირო შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საამინისტროომ და ავიამუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მეორე პრემია მიაკუთვნეს საქართველოს სამმართველოს. სამმართველო წელს ზედიზედ სამ კვარტალში გამოვიდა გამარჯვებული სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ახალი მშენებლობები

ქალაქ სიღნაღს უკანასკნელ ხანს შეემატა ადმინისტრაციული სახლი, რომელიც აგებულია ქალაქის ცენტრში, ლენინის მოედანზე. ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა მალე დამთავრდება.

სიღნაღშივე შენდება ახალი სასტუმრო, რომელიც საგაქსპლოატაციოდ მომავალ წელს გადაეცემა.

ქალაქ წნორში დაიწყო ლუდის ქარხნის მშენებლობა. წნორი-სიღნაღის უმოკლეს გზაზე სოფელ საქობოს თავში შენდება პურკომბინატი. ორივე ეს წარმოება მწყობრში მომავალ წელს ჩადგება.

წნორში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საშუალო სკოლა, სოფელ ნუკრიანში კი კულტურის სახლს ჩაუყარეს საძირკველი.

ნ. შარმიაშვილი.

მოკლედ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ კარგა ხანია არსებობს ავტომოტოკლუბი, რომელიც კვალიფიციურ მძღოლებს ამზადებს. კლუბმა ახლახან ფილიალი გახსნა მეორე სვირის სასოფლო კლუბთან. სვირელი ახალგაზრდები ეუფლებიან ავტომანქანების მართვას.

ხალხმრავლობა იყო ამ დღეებში ნატახტარში. აქ, სოფლის ცენტრში გაიხსნა ცეკავშირის სისტემის ახალი უნივერსალური მაღაზია.

მაღაზიაში იყიდება უკანასკნელი მარკის მაცივრები, ტელევიზორები, რადიომიმღებები, მრავალგვარი შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საათები, ბავშვის სათამაშოები, აგრეთვე სახურსათო საქონელი. („კომუნისტის“ კორ.).

ოთაობა

თელავისა და ახლომდებარე სოფლების ათასობით მცხოვრები, რესპუბლიკის დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები გასულ კვირას შეიკრიბნენ იყალთოს აკადემიის ნანგრევებთან. აქ გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „შოთაობა“. ამ დღეს დაემთხვა იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა მორიგი გამოშვება.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან რუსთაველის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები — საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პეტე-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, მწერალი-აკადემიკოსი კ. გამსახურდია, საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. ვარდოშვილი, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მეზვრიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, მწერლები მ. მრევლიშვილი, ა. გომიაშვილი და სხვები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა გ. მათირიშვილმა.

„შოთაობაზე“ სიტყვები წარმოთქვეს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის საპატიო მსმენელმა, 90 წლის ნ. პაპალაშვილმა, რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა, მეცნიერთა სახელით — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ს. ჭილაიამ, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტებმა ა. გგენცაძემ და ი. ჩიკვაიძემ, მწერალმა მ. მრევლიშვილმა. საზოგადოება „ცოდნის“ წარმომადგენელმა ბ. ბაკურაძემ უნივერსიტეტს გადასცა პირველი ხარისხის დიპლომი, რომელიც მიენიჭა მას კულტურის სახალხო უნივერსიტეტების სრულიად საკავშირო დათვალიერებაზე.

რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პედაგოგებმა ვ. ანაშვილმა და ს. ჩხუბიანაშვილმა, ელეხმა პოეტმა ვ. მრეღაშვილმა. „ვეფხისტყაოსნიდან“ ნაწყვეტები წაიკითხა მასწავლებელმა თ. ჭაბუკიანმა. რესპუბლიკის უხუცესმა ფოტოსტატმა ი. ტორმა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებს აჩუქა ფოტოსურათები თავისი არქივიდან.

დღესასწაულზე სიტყვები წარმოთქვეს რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებმა ი. აბაშიძემ, კ. გამსახურდიამ, ლ. გუდიაშვილმა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. გოძიაშვილმა წაიკითხა ნაწყვეტები ირაკლი აბაშიძის პრემირებული წიგნიდან „პალესტინა, პალესტინა!“.

დღესასწაულის მონაწილეებს მიესალმნენ იყალთოელი პიონერები.

იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს გადაეცათ ამ უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომები.

დასასრულ გაიმართა მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი კოლექტივების კონცერტი, თავიანთი ოსტატობა უწვენეს სოფლის სპორტსმენებმა — მოჭიდავეებმა და სხვ. (საქდესი).

ერეკლეს ბიბლიოთეკა

ბოსავლის ღღესასწაული გურჯაანში

ეს სურათები გადაღებულია კვირას, 14 ნოემბერს, ქალაქ გურჯაანის სტადიონზე. შემოდგომის სიუხვით აღფრთოვანებულმა გურჯაანის რაიონის მშრომელებმა ამ დღის დიდი ზეიმით აღნიშნეს ტრადიციული „მოსავლის დღესასწაული“.

* * *

სურათებზე: გურჯაანის სტადიონზე მოსავლის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტის ცალკეული მომენტები: მარჯვნივ — „მოსავლის დედოფალი“; მარცხნივ „გუშინ შვიდნი გურჯაელნი“.

ფოტო ი. მღებრიშვილისა და ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ხულო რაიონულმა ბიბლიოთეკამ პარტიაკომის სხდომათა დარბაზში მოაწყო მკითხველთა კონფერენცია, მიძღვნილი შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი.

რ. თავართქილაძე.

ზუგდიდის ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა სამღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლი (ხელმძღვანელი და ლოტბარი შ. ბიგვავა, ცეკვების დამდგმელი რ. ბელია) სისტემატურად მართავს გასვლით კონცერტებს სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებში.

ბ. ალშიბაია.

ტყვარჩელის კულტურის სასახლესთან შექმნილია საესტრადო ანსამბლი (ხელმძღვანელი ვ. ბარანოვსკი), რომელშიც მონაწილეობენ მუშახტელები და ქალაქის სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები.

ანსამბლმა კონცერტები გაამართა არა მარტო ტყვარჩელში, არამედ ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებშიც.

კლ. ბარძაია.

ხობაში გაიხსნა სახეითი ხელოვნების გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ქართველ მხატვართა მრავალფეროვანი ნამუშევრები.

ო. სახელიშვილი.

ქასპში დიდი პროგრამით მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ქარელის, ბორჯომის, ქასპის კულტსახლების აგიტ-მხატვრული ბრიგადები, მათ დიდი მონდომებით ჩაატარეს გაერთიანებული საღამო-კონცერტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ქეთევან ღოღობერიძე.

ა. ფალიაშვილი.

ოსკოვის „ტორპედო“ — ჩემპიონი

ჯუმარიტად დიდი ფეხბურთის მოწმენი იყვნენ გუშინ ოდესელები. სწორედ მათ სტადიონზე წყდებოდა ოქროს მედლების საკითხი. ჩემპიონის ტიტულისათვის დედაქალაქის „ტორპედოს“ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“.

თუ ამ მატჩში მასპინძლებისათვის წარუმატებლობა თითქმის არაფერს ნიშნავდა, ტორპედოელთათვის იგი მთელი წლის ნაშრომის წყალში გადაყრას უდრიდა. ამიტომ ისინი მთელი პასუხისმგებლობითა და ძალთა მობილიზებით მოეკიდნენ შეჯიბრებას.

ბრძოლა მართლაც რომ შეუპოვარი და მეტად დაძაბული გამოდგა. დასაწყისშივე სტუმრებმა იერიში მიიტანეს მეტოქის კარზე და მეორე წუთზე სტრელცოვმა ანგარიში გახსნა. 17 წუთის შემდეგ ბანეშსკის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე კაპაზუშვილმა, მაგრამ მას მიუსწრო სპასმა და გაათანაბრა ანგარიში. ტაიმის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ტორპედოელმა ლენინოვმა თავისი გუნდი წინ გაიყვანა — 2:1.

მეორე ნახევარში თამაში ძირითადად მოსკოველთა კართან მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. გიიმარჯვეს ტორპედოელებმა 2:1.

ამრიგად, მოსკოვის „ტორპედო“ სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონი გახდა ფეხბურთში.

პარტია არ შედგა

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში უნდა გამართულიყო ჭადრაკში მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტების **მ. ტალისა** და **ბ. სპასკის** მატჩის მეშვიდე პარტია. **მ. ტალის** ავადმყოფობის გამო პარტია არ შედგა.

შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონებთან

ბასულ კვირადღეს ბათუმის საზოგადოებრიობამ ქალაქის სტადიონზე შეხვედრა მოუწყო ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს — მსოფლიოს ჩემპიონებს **ნონა გაფრინდაშვილსა** და **ომარ ფხაკაძეს.**

შეხვედრა გახსნა აჭარის სპორტკავშირის თავმჯდომარემ **შ. მეკავანაძემ.** მსოფლიოს ჩემპიონებს მიესალმნენ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი **კ. ბოლქვაძე,** კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **რ. ხარიშვილი** და სხვ.

მოეწყო სპორტული გამოსვლები. სპორტული სკოლის ტანმოვარჯიშეებმა ოჩვენეს მასობრივი ვარჯიში. გაიმართა ქალაქის უძლიერეს ველომრბოლთა შეჯიბრება მსოფლიოს ჩემპიონის **ო. ფხაკაძის** მონაწილეობით. შედგა ბათუმის „დინამოსა“ და აჭარის ნაკრების ამხანაგური მატჩი ფეხბურთში.

ოსკოვი — ლენინგრადი

მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების შეხვედრა ჭადრაკში ტრადიციული ასპარეზობა გახდა. წელს იგი შედგა მოსკოვში 13 და 14 ნოემბერს ორმოც დაფაზე. ლენინგრადის გუნდს სათავეში ედგა სსრ კავშირის ჩემპიონი **ვ. კორჩნოი.** მოსკოვის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: მსოფლიოს ჩემპიონი **ტ. პეტროსიანი,** მსოფლიოს ეს-ჩემპიონი **მ. ბოტვინიკი,** გროსმაისტერები — **დ. ბრონშტეინი, ა. კოტოვი, ი. ავერბახი** და სხვ.

აღსანიშნავია, რომ **ვ. კორჩნოიმ** თეთრებით და შავებით ორივეჯერ დაამარცხა **ტ. პეტროსიანი, ა. კუშნირმა ლ. ვოლპერტთან** შეხვედრებში მხოლოდ ნახევარი ქულა შეაგროვა.

მატჩის საერთო ანგარიშია 40,5:39,5 მოსკოვის გუნდის სასარგებლოდ.

ჩემპიონატის სტარტი

გუშინ მოლდავეთის ქ. ბელცში გაიხსნა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. ფინალურ ასპარეზობას წინ უძღოდა შესარჩევი შეხვედრები, ანუ ნახევარფინალები. მიწვეულთა შორის იყვნენ **ნ. გაფრინდაშვილი, ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია, მ. რანი-კუ, ე. რუბცოვა.** მაგრამ პირველმა ორმა — **ნ. გაფრინდაშვილმა** და **ა. კუშნირმა** უარი განაცხადეს ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

სულ პირველობაზე გამოვა 20 მოჭადრაკე — 7 საერთაშორისო ოსტატი, 6 ოსტატი და 7 პირველთანრიგოსანი. მათ შორის არიან **კ. ზვორიკინა, ე. კაკაბაძე, ს. ივანოვა, ვ. ბორისენკო. ო. იგნატიევა, ო. რუბცოვა** და სხვ. ჩემპიონატი ერთ თვეზე მეტს გაგრძელდება.

ბოლოდროინდელი ფოტოსურათები

ბაკურიანი. ... ბაკურიანი ... ბაკურიანი ... ბაკურიანი